

შპს დეტი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31/12/2019
ამონაგები	4 500 036
სხვა შემოსავალი	3 605
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2 758 910
საერთო მოგება	1 724 731
დასაქმებულთა ანაზღურება	-608 865
ცვეთა და ამორტიზაცია	-12 159
სხვა ხარჯები	-177 286
მოგება დაბეგვრამდე	946 420
მოგების გადასახადი	-141 907
მიმდინარე წლის მოგება	804 538
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	656 671
დივიდენდი	-654 737
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	806 447

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გამოცემის
ნებართვა გაიცა კომპანიის ხელმძღვანელის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერს.

ფინანსური მენეჯერი ჯონი ჯიქია

	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	651,335	298 900	519 410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	324,111	449 360	291 008
სასქონლო - მატერიალური მარაგი	959	1 410	1,044
სულ მიმდინარე აქტივები	976,405	749 670	811 462
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	30,793	31 720	20 137
არამატერიალური აქტივები	8,829	10 387	12 221
სულგრძელვადიანი აქტივები	39,622	42 107	32 358
სულაქტივები	1 016 027	791 777	843 820
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,310	168	2 171
ვალდებულებები თანამშრომლობით	3,762	2 961	-2 319
საგადასახადო ვალდებულებები	197,307	131 777	99 365
სულ მიმდინარე ვალდებულებები	209,379	134 906	99 217
სულ ვალდებულებები	209,379	134 906	99 217
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	806,448	656 671	744 403
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1 016 027	791 777	843 820

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გამოცემის ნებართვა გაიცა კომპანიის ხელმძღვანელის მიერ 2020 წლის 10 სექტემბერს.

ფინანსური მენეჯერი

ჯინი ჯიქია

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დეტი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მისამართი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, შირაქის №40. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს დაცვით მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებ ან ზარალის ანგარიშებზე.

ამონაგები

ამონაგები საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან აღიარება ხდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი და მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯები.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ მომავალში წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას და ვალდებულების ზრდასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში თუ მისგან ეკონომიკური სარგებლი სმილება აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარებულ კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება მიმდინარე საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება წლის გაუნაწილებელი მოგების დაანგარიშება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება დივიდენდის განაწილების დროს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადის აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა, ეს მოვლენა არის ქმედება ან ფაქტი რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით.

ცვეთა ერიცხება მთლიანად მათი სასარგებლო ომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებები 20

კომპიუტერული ტექნიკა 20

სხვა 20

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მის გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომში გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი

საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ჩაირთვება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და კერძო დაცვით საქმიანობის ლიცენზიას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზირება ხდება წარჩენი ღირებულების მეთოდით, რადგან არამატერიალურ აქტივს არ გააჩნია მომსახურების ვადა.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით დახარჯის სახით აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია-მომსახურება ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახულის სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო

კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი ისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდი

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით ცირდება კაპიტალი (გაუნაწილებელი მოგება).

3. ამონაგები 2019

საქონლის-მომსახურების გაყიდვა 450 0036

4. სხვა შემოსავალი 2019

საპროცენტო შემოსავალი 3 233

სხვა არამირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 372

3 605

5. ხარჯები 2019

5.1 შესრულებული მომსახურების ,რეალიზებული პროდუქციის
თვითღირებულება 2 758 910

5.2 კომერციული დანახარჯები 8 847

5.3 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 788 697

5.3(1)შრომისანაზღურება 608 865

5.3(2)საიჯაროქირა 58 009

5.3(3)კომუნიკაციისხარჯი 11 774

5.3(4)საპენსიო სააგენტო	44 467
5.3(5)მივლინებისხარჯი	8 336
5.3(6)ცვეთადამორტიზაცია	12 159
5.3(7)საკანცელარიოხარჯი	4 559
5.3(8)ბანკისსაკომისიოსხარჯი	2 617
5.3(9)სხვასაერთოხარჯი	37 911

6. სხვახარჯები **2019**

ზარალი კონვერტაციის შედეგად 766

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები **2019**

სავაჭრო დებიტორები 324 111

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები **2019**

სხვა მარაგები 959

9. ძირითადი საშუალებები
ისტორიული ღირებულება
 1/1/2019
 შემოსვლა
 გასვლა

94 735

9 674

12/31/2019

104
409

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2019 წელი

63 014

წლიური ცვეთა

10 601

გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა

31 დეკემბერი 2019 წელი

73 615

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2019 წელი

30 794

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება

1 იანვარი 2019 წელი

50,845

შემოსვლა

გასვლა

31 დეკემბერი 2019 წელი

50,845

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2019 წელი

40 458

წლიური ამორტიზაცია

ხარჯებში)

(ჩართულია ადმინისტრაციულ

1 558

31 დეკემბერი 2019 წელი

42 016

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2019 წელი

10,387

11. საგადასახადო ვალდებულებები

2019

საგადასახადო ვალდებულებები

201 069

12. სავაჭრო ვალდებულებები

2019

სავაჭრო ვალდებულებები

8 310

13. ჩვეულებრივი იჯარა

კომპანია სჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი და მსუბუქი ავტომანქანები. მემიჯარეებთან გაფორმებულია ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულებები.

14. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს.

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2019

ფული საბანკო ანგარიშებზე

651 335

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გამოცემის ნებართვა გაიცა კომპანიის ხელმძღვანელების მიერ 2020 წლის 10 სექტემბერს

ფინანსური მენეჯერი ჯონი ჯიქია

